ო, ბიძა! თქვი: ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ (არაა სხვა ღვთაება, გარდა ალლაჰისა) და ამ სიტყვების საფუძველზე ალლაჰის წინაშე შენს სასარგებლოდ დავამოწმებ

საიდ იბნ ალ-მუსაიიბისგან გადმოცემულია, რომ მისმა მამამ თქვა: როდესაც აბუ ტაალიბს სიკვდილი მოახლოვდა, შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მასთან შევიდა. იმ დროს აბუ ტალიბთან იმყოფებოდნენ აბუ ჯაჰლი და აბდულლაჰ იბნ აბუ უმაია იბნ ალ-მუღირა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ო, ბიძა! თქვი: ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ (არაა სხვა ღვთაება, გარდა ალლაჰისა) და ამ სიტყვების საფუძველზე ალლაჰის წინაშე შენს სასარგებლოდ დავამოწმებ». მაგრამ აბუ ჯაჰლმა და აბდულლაჰ იბნ აბუ უმაიამ უთხრეს: "ნუთუ შენ უარს იტყვი იმ რელიგიაზე, რომელსაც აბდულმუტალიბი მისდევდა?" მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმეორებდა თავის სიტყვებს, ხოლო ისინი თავისას იმეორებდნენ, სანამ აბუ ტალიბმა სიკვდილის წინ არ თქვა: "[მე ვრჩები] აბდულმუტალიბის რელიგიაზე". მან უარი თქვა ეთქვა: „ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ“ (არაა სხვა ღვთაება, გარდა ალლაჰისა). მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ვფიცავ ალლაჰს! მე შენთვის მიტევებას ვთხოვ ალლაჰს, სანამ ალლაჰი არ ამიკრძალავს». ამის შემდეგ ალლაჰმა გარდმოავლინა აიათი: {მოციქულს და მორწმუნეებს არ შეშვენით მიტევების თხოვნა მრავალღმერთიანებისთვის, თუნდაც ისინი მათი ნათესავები იყვნენ...} (ათ-თაუბა: 113). ასევე ალლაჰმა გარდმოავლინა აიათი, რომელიც აბუ ტალიბს შეეხებოდა: {ნამდვილად, შენ ვერ დააყენებ სწორ გზაზე მათ, ვისაც შეიყვარებ. მხოლოდ ალლაჰი დააყენებს სწორ გზაზე მათ, ვისაც ის ისურვებს. მან უკეთ იცის ისინი, ვინც მიჰყვება სწორ გზას} (ალ-ყასას: 56).

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შევიდა თავის ბიძასთან, როცა ის სიკვდილის პირას იყო და უთხრა მას: ო, ბიძაჩემო თქვი ''ლაა ილაჰა ილლა ალლაჰ'', რომლითაც გიშუამდგომლებ ალლაჰთან, ამ დროს აბუ ჯაჰლმა და აბდულაჰ იბნ აბუ უმაიამ უთხრეს: "ჰეი, აბუ ტალიბ, შენ მიატოვებ შენი მამის, აბდულ-მუტალიბის, რწმენას?!" ეს იყო კერპების თაყვანისცემა. ისინი განაგრძობდნენ მასთან ლაპარაკს, სანამ მან ბოლო სიტყვებად არ თქვა: "მე ვარ აბდულ-მუტალიბის რწმენაზე", რაც შირქის (მრავალღმერთიანობის) და კერპების თაყვანისცემას გულისხმობდა. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: მე შენთვის მიტევებას ვთხოვ ალლაჰს, სანამ ჩემი ღმერთი არ ამიკრძალავს ამას. ამის შემდეგ გარდმოევლინა უზენაესი ალლაჰის სიტყვები: {არ შეშვენის შუამავალს და იმათაც, ვინც ირწმუნა, პატიება ითხოვონ წარმართებისთვის (მუშრიქ), თუნდაც ახლობელნი იყვნენ, მას შემდეგ, რაც განეცხადათ მათ, რომ სწორედ ისინი არიან ჯოჯოხეთის ბინადრები} [ათ-თავბა: 113] და აბუ ტალიბთან დაკავშირებით გარდმოევლინა უზენაესი ალლაჰის სიტყვები: {ნამდვილად, შენ ვერ

დაადგენ სწორ გზაზე მას, ვინც გიყვარს, მაგრამ ალლაჰი დაადგენს სწორ გზაზე, ვისაც სურს, და მან უკეთ იცის, ვინ არის სწორ გზაზე} [ალ-ყასას: 56] ნამდვილად, შენ ვერ წარუძღვები სწორ გზაზე იმას, ვისი სწორ გზაზე მოყვანაც გსრუს. შენი მოვალეობაა მხოლოდ შეგონება, ხოლო ალლაჰი დააკვალიანებს სწორ გზაზე, ვისაც ისურვებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3410

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee